

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №60 დადგენილებით და განისაზღვრა 6478,5 ათ. ლარით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სულ 6 თვის განმავლობაში განხორციელდა 10 ცვლილება. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პირველი ცვლილების საფუძველი იყო 2019 წლის 1 იანვრისთვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის განაწილება. მუნიციპალიტეტის 2019 წლის 1 იანვრისთვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 3,254,084 ლარი, საიდანაც 84351,55 ლარი ბანკში ანგარიშზე არსებული ნაშთია, ხოლო 3,169,732 ლარი მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე განთავსებული ნაშთი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეორე ცვლილების საფუძველი გახლდათ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 თებერვლის №331 განკარგულება. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 2730402 ლარი. ასევე ცვლილებების საფუძველი იყო საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის №208 განკარგულება. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროექტების ფონდიდან გამოეყო 620000 ლარი, ასევე ცვლილებების საფუძველი იყო საქართველოს განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის მართვლობის სფეროში შემავალი სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ „ზოგიერთი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №18 განკარგულების შესაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებს სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვისათვის 2019 წლის 18 თებერვლის სახაზინო ანგარიშზე ჩარიცხულმა თანხამ შეადგინა 43744,18 ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მესამე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულება“. ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ და მასში შეტანილი ცვლილება 2019 წლის 8 თებერვლის №207 განკარგულება, რის საფუძველზეც საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადებისათვის მუნიციპალიტეტს გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა 310,0 ათ. ლარით, აქედან გამომდინარე ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 13126,7 ათ. ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მეოთხე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის №738 განკარგულება. საქართველოს რეგიონში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 2914923 ლარი, ასევე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 მარტის №674 განკარგულება, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტს ამბულატორიული მომსახურების მიწოდების მიზნით, საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისთვის გამოეყო 208,000 ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მეხუთე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 აპრილის №841 განკარგულება. ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში

განსახორციელებელ პროექტებს ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 356,282 ლარი, ასევე ბიუჯეტში ცვლილების საფუძველი გახლდა 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულება. შესაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვისათვის 2019 წლის 30 აპრილს სახაზინო ანგარიშზე ჩაირიცხა 58828,38 ლარი .ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მორიგი ცვლილების საფუძველი გახლდათ მთავრობის 2019 წლის 25 აპრილის №982 განკარგულება, სადაც საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 3190 ლარი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 14311,4 ათ. ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეექვსე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 აპრილის №987 განკარგულება, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოეყო 215,0 ლარი, რის საფუძველზეც ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 14526,4 ათ. ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეშვიდე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 17 მაისის №1119 განკარგულება, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდიდან ქ. ცაგერში სპორტული დარბაზის მშენებლობისათვის დასრულებისათვის გამოეყო 341,590 ათ. ლარი. აღნიშნული სპორტული დარბაზის მშენებლობა მუნიციპალიტეტმა ტენდერის გზით შეისყიდა 2015 წლის ნოემბერში, რიგი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო აღნიშნული მშენებლობა დღესაც დაუმთავრებელია. ცაგერის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის აზრით მუნიციპალიტეტმა სპორტული დარბაზის მშენებლობის მიმდინარეობისას ვერ დააწესა შესაბამისი კონტროლი და პროცესი ვერ წარმართა ისე, რომ მშენებლობა დამთავრებულიყო დროულად და ხარისხიანად რის გამოც მოსახლეობამ ვერ მიიღო სარგებელი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერვე ცვლილების საფუძველია საქართველოს 2019 წლის 4 ივნისის №1284 განკარგულება რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტს სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროექტების დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 379 964 ლარი, ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 15715,6 ათ. ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მეცხრე ცვლილების საფუძველია საქართველოს განათლების მეცნიერების კულტურის და სპორტის სამინისტროს მართველობის სფეროში შემავალი სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ. „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეწყობის საფუძველზე დელეგირების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულება, რის საფუძველზეც ცაგერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის სატრანსპორტო შესყიდვა დაფინანსდა 46067.18 ათ. ლარით .

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მე-10 ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 17 ივნისის №1371 განკარგულება, რის საფუძველზეც საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისთვის ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 728 362 ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 16 238. 0 ათ. ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის შემოსავლების გეგმა შეადგენს 52002 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 402, 9 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 77,4 %-ით, მათ შორის : ქონების გადასახადის გეგმა იყო 119 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსავალმა შეადგინა 381,9 ათ ლარი. დამატებითი ღირებულების გადასახადი გეგმა იყო 2985,1 ათ. ლარი. ფაქტიურად შემოსულია 2695,8 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 90,3%-ით.

გრანტის სახით მიღებული შემოსავლების გეგმამ შეადგინა 2036,4 ათ. ლარი. ფაქტიურად შემოსული 897,7 ათ. ლარი. ანუ 90%. მიზნობრივი ტრანსფერი შესრულებულია 100%-ით.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 58,7 ათ. ლარი. ფაქტიურად შემოსულია 57,5 რაც შეადგენს 86,3%-ს. არ არის შესრულებული პროცენტებით დაგეგმილი შემოსავლები. 91,8 %-ითაა შესრულებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შემოსავლები. არასწორადაა დაგეგმილი სანქციები და საურავები, რადგან დაგეგმილი იყო 33,0 ათ. ლარი ფაქტიურად შემოსულია 6,5 ათ. ლარი ანუ გეგმის 19,7 %.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული ფაქტიური შემოსავლების გეგმა შესრულდა 45%-ით გეგმა 10,0 ათ. ლარი ,ფაქტიურად 4,5 ათ. ლარი.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია უნდა დაფინანსებულიყო 5835,2 ათ. ლარით დაფინანსდა 2661,8 ათ. ლარით. მათ შორის გზების მშენებლობა რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა დაფინანსდა 923,5 ათ. ლარით, გარე განათება რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 68,7 ათ. ლარით. კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 887,2 ათ. ლარით. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია,6,6 ათ. ლარით. ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპლოატაციის ხარჯები დაფინანსდა 103,4 ათ. ლარით იმ ეტაპზე როცა სახელმწიფო პროექტების არსებობის შემთხვევაში დამატებით ბონუსად იძლევა მილიონ ნახევარ ლარს და ეს ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვნად საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მუნიციპალიტეტში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემების წინ წამოწევას და დაპროექტებას, ხოლო რაც შეეხება ინფრასტრუქტურაში არსებულ ჩავარდნებს კომისიის აზრით ეს ყურადსადები და სერიოზული ანალიზის საგანს წარმოადგენს. პრობლემაა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ხარჯების დაფინანსებაშიც გეგმა 243,9 ათ. ლარი ფაქტი 203,ათ.ლარი 87,7%.

2019 წლის ბიუჯეტი მხარჯველი ორგანიზაციებისათვის სახელფასო ნაწილში გათვლილი იყო თორმეტ თვეზე და დამტკიცდა საკრებულოს მიერ უმნიშვნელო შენიშვნებით. ამ ბიუჯეტში ა(ა)იპ-ების ხელფასების სუბსიდირებაც გაწერილი იყო სრულად, მაგრამ 6 თვის ანალიზში აღმოჩნდა, რომ ა(ა)იპ-ების უმრავლესობა მათთვის გამოყოფილი თანხა თითქმის სრულად აქვთ ათვისებული, რაც დიდ პრობლემას ქმნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის კომისიის გადაწყვეტილებით მიეცათ მერის რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ მკაცრად იქნეს დაცული და განხორციელდეს ა(ა)იპ-ებში ხარჯების ოპტიმიზაცია, უზრუნველყოფილი იქნეს მათი ფუნქციონირება დაგეგმილი ბიუჯეტის ფინანსური უზრუნველყოფით, წლის განმავლობაში დამატებითი ხარჯების ბიუჯეტიდან სუბსიდირების გარეშე.